

კიდევ 2 ქულა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 18 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (მოსკოვი) 2:1 (0:0).

"დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჭილაია (კოსტავა), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (მეშკოვი).

"ტორპედო": ჩანოვი, კრუგლოვი, ყუპიკოვი, ფომიჩევი, პრიგოდა, პეტრენკო, პოლუკაროვი, ვასილიევი, კოვალიოვი, სახაროვი, ხრაბროსტინი (გალაიბა).

მსაჯი: ნ. პოხოლენკო (მაიკოპი).

კარგად მახსოვს თბილისის დინამოელთა პირველი კალენდარული მატჩი მოსკოვის "ტორპედოსთან"... 1936 წლის გაზაფხულზე ორივე გუნდი მაშინ "ბ" ჯგუფში გამოდიოდა. თბილისელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 2:1 და შემოდგომისთვის "ა" ჯგუფში გადაინაცვლეს. შემდეგ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს ტორპედოელებმაც.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ფეხბურთში, თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" მეტოქეობა კი კვლავ და კვლავ დარჩა ჩვენი ფეხბურთის მშვენიერად. ვინ მოთვლის, რამდენი ბრწყინვალე მატჩი უთამაშიათ მათ ერთმანეთს შორის, რამდენი საფეხბურთო შედეგრი მიუძღვნიათ მაყურებლისთვის. ან როგორ შეიძლება დაივიწყო ტორპედოელი ვირტუოზები ა. სინიაკოვი, ი. კოჩეტკოვი, გ. ჟარიკოვი, ა. პონომაროვი, ა. აკიმოვი, ვ. ვორონინი, ე. ივანოვი, ე. სტრელცოვი და სხვანი.

ერთი სიტყვით, საერთო ბევრი აქვს ამ ორ გუნდს, მაგრამ ერთი რამ კი საგანგებოდ უნდა ითქვას: იშვიათად, რომ რომელიმე მეტოქის მიმართ ისეთი სიმპათიით იყვნენ განწყობილი თბილისელი მაყურებლები, როგორც "ტორპედოსადმი". ტლანქი, ძალისმიერი თამაში, უხეშობა, ანტიფეხბურთი – უცხო რამაა ავტოქარხნელთათვის, თუმცა ბოლო ხანებში მათ შესამჩნევად მოუკლეს კლასს: 1976 წლის შემოდგომის ჩემპიონობის შემდეგ გუნდმა ჩამოინაცვლა ჯერ მე-4, მერე მე-8, და, თქვენ წარმოიდგინეთ, მე-16 (!) ადგილამდეც კი.

წლეულსაც ვერ იყო კარგად ტორპედოელთა საქმეები. დონეცკიდან გადმოყვანილი მწვრთნელის ე. სალკოვის ხელში გუნდმა ვერ გამოასწორა მდგომარეობა, ეტყობა "შახტიორთან" მუშობის მეთოდები არ გამოდგა ამ მაღალტექნიკურ ფეხბურთელებთან საქმიანობაში, გუნდი გათამაშების ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებოდა და კლუბი იძულებული იყო დაებრუნებინა თავისი ძველი უფროსი მწვრთნელი ვ. ივანოვი.

მართალია, "ტორპედოს" ჩვეული ხელწერა, მაღალი ინდივიდუალური საშემსრულებლო ოსტატობა გუნდის ახალ წევრებს აკლიათ (ისინი დროდადრო ძალისმიერ თამაშსა და უხეშობასაც საკმაოდ მიმართავენ), მაგრამ საბრძოლო თვისებები, სანებისყოფო მომზადება კი არა და დინამოელთა ხშირი იერიშების პაუზებში ძალზე სახიფათო, მწვავე შეტევებს ავითარებდნენ. მატჩის დასაწყისში დარასელიამ, გუცაევმა, შენგელიამ, ყიფიანმა, ზედიზედ შექმნეს საგოლე მომენტები ტორპედოელთა კართან, სადაც უმეცდომოდ თამაშობდა მეკარე ჩანოვი. ამავე დროს საპასუხო შეტევაზე სტუმრებიც გადადიოდნენ, უმთავრესად – მარჯვენა ფლანგიდან.

კიდევ უფრო მეტი ხიფათი დატრიალდა "ტორპედოს" კართან მეორე ტაიმის პირველ წუთებზე, ჩანოვი ერთთავად "საქმეში" იყო და როცა გოლს წუთი-წუთზე მოველოდით მის კარში, სტუმრებმა კვლავ მარჯვენა ფრთიდან განახორციელეს შეტევა, გარღვევაზე გავიდა პეტრენკო და მისმა დარტყმამ მიზანს მიაღწია - 1:0. ეს მოხდა 56-ე წუთზე.

დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, მათ კიდევ უფრო შეუპოვრად შეუტყეს მეტოქეს. 62-ე წუთზე ჩივაძის შორეული დარტყმა კარის ზედა ძელს მოხვდა, ბურთი დაუბრუნდა მინდორს და აქ ზუსტად ითამაშა გუცაევმა - 1:1.

74-ე წუთზე დინამოელებმა მორიგი იერიშის დროს საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს. ყიფიანის გადაცემაზე მინდვრის სიღრმიდან ზედ კარის წინ გავიდა ჩივაძე და თავით მეორე ბურთი გაიტანა - 2:1.

გამარჯვება ძნელ, დაძაბულ ბრძოლაში იქნა მოპოვებული, იოლ მოგებას არც არავინ ელოდა მოსკოვის "ტორპედოსთან". მით უფრო სასიამოვნო და იმედისმომცემია ეს წარმატება ევროპის ჩემპიონთა თასის მომავალი მატჩის წინ ირლანდიის "უოტერფორდთან". ცნობილია, რომ ირლანდიელები საგანგებოდ ემზადებიან თბილისის "დინამოსთან" შესახვედრად, მაგრამ ჩვენი გუნდის მიერ გუშინ გამოვლენილი მაღალი საბრძოლო თვისებები, ფეხბურთელთა გამარჯვებისადმი სწრაფვა იმედიან განწყობას გვიქმნის ევროპული ტურნირის მომავალ მატჩებში.

რ. ქორიძე.

"ლელო", 19 ოქტომბერი, 1980 წ.